საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№195/5

2018 წელი, 17 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის გენადი მარგველაშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების მარიამ ჯაშის, გენადი მარგველაშვილის, გია ჟორჟოლიანის და სიმონ ნოზაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/223; 13.09.2018) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე